

1. ხედვა: *რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად?*

ჩვენი საპრეზიდენტო პროგრამა (იხ. <http://www.ufali.ge/>), საერთო სახელწოდებით - „უფლის სახელით გაბრწყინებული საქართველო“, ორი პირობითი ნაწილისაგან შედგება. კერძოდ:

- ეროვნულ რელიგიური ნაწილი, რომელშიც საქართველოს სულიერი მისიის თემატიკაა განხილული; და
- ეროვნულ პოლიტიკური ნაწილი, რომელშიც დღეს არსებული პოლიტიკური სისტემის ძირეული ცვლილებების საკითხებია განხილული.

საუკუნეებიდან მომდინარე საქართველოს სულიერი მისიაა, დღევანდელ კაცობრიობას აუწყოს - უფალ იესუ ქრისტეს მეორედ დიდებით გაცხადების წინარე დროის, ანუ ბოლო ჟამის დადგომის დამადასტურებელი ნიშნები, რომლებიც საქართველოში მომხდარი მოვლენებითაა გამოვლენილი (იხ. პროგრამა).

ბიბლიური ბოლო ჟამი კი, უკვე დასასრულს უახლოვდება. ამ დიადი წამის მომლოდინე სამყარო უდიდესი გარდაქმნის ზღურბლთან დგას.

ჩვენი ზოგადი დევიზის, „აირჩიეთ სიცოცხლე, რათა იცოცხლოთ“ არსობრივი მხარის სათანადოდ გააზრებისა და ქართველი ერის მიერ გონივრული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნულ მიჯნასთან მიახლებამდე დარჩენილ დროში, საქართველოს პრეზიდენტის რანგში ჩემი მოღვაწეობა (თუ ღმერთი ინებებს) მთლიანად იქნება მიმართული არა მარტო საქართველოში მაცხოვრებელთა, არამედ ზოგადად, კაცობრიობის სულიერი შემზადების პროცესის სათანადოდ წარმართვისაკენ.

ბიბლიური შეგონების მიხედვით, „განკითხვის დღე იქნება დასასრული ამ დრო-ჟამისა და დასაბამი მომავალი უკვდავებისა, როცა გაივლის ხრწნადი. მოისპობა სიამპარტავნე, ამოიკვეთება ურწმუნოება, გაძლიერდება სამართალი, ამობრწყინდება ჭეშმარიტება. მაშინ კი ველარავინ შეძლებს დასალუპავის გადარჩენას, და არც გამარჯვებული გაიწირება...“ [3 ეზრა 7,49].

ამ ორიენტირისაკენ სავალ გზაზე, ჩემი საპრეზიდენტო პროგრამის პოლიტიკური დევიზის - „მართლმადიდებლობა, ნეიტრალიტეტი, მშვიდობიანი კავკასია“ განხორციელების მიზნიდან გამომდინარე, მთავარ ამოცანად მესახება ქრისტიანულ მორალურ-ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული, თავისუფალი და ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

2. განათლება: *როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?*

განათლების სფეროში მოღვაწე მეცნიერთა და პროფესორ-მასწავლებელთა სათანადო დაფინანსებისათვის, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი წყაროების მოძიება, რათა კერძო სტრუქტურების პარალელურად, საბავშვო ბაღიდან უმაღლეს განათლებამდე გასავლელი თითოეული საფეხური საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს.

3. გადასახადები: *თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?*

სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში საგადასახადო სისტემას უდიდესი როლი აკისრია.

ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტია ფიზიკური პირებისათვის დადგენილი ფიქსირებული გადასახადის პარალელურად, იურიდიული პირებისათვის დადგენილი ე.წ. პროგრესირებადი საგადასახადო სისტემის დანერგვა, რომელიც მათ მიერ მიღებული საბოლოო (ხარჯების გამოკლებით) შემოსავლიდან იქვითება.

4. ეკონომიკა: *როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად? რა არის პრიორიტეტული და რა კონკრეტულ ინიციატივებს შესთავაზებდით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს?*

ეკონომიკის სფეროს სათანადო განვითარება ქვეყანაში გამართული პოლიტიკური სისტემის არსებობასა და მის ნორმალურად ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული.

ჩვენი საპრეზიდენტო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების განხორციელება, კერძოდ, საქართველოში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მიღწევა და ახალი, რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია - „კავკასია მშვიდობის სახლის“ დაფუძნება, ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იქნება.

5. დასაქმება: *თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?*

სტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნა და დამკვიდრება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის, სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის მთავარი გარანტიაა.

6. ჯანდაცვა: *რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამაღლდეს მისი ხარისხი?*

მნიშვნელოვანია გაძლიერდეს საყოველთაო სადაზღვევო სისტემა – პირველ ეტაპზე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით.

7. სოციალური უსაფრთხოება: *რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?*

სახელმწიფოს ვალია შეიმუშაოს სათანადო სტანდარტი ისეთი პირობებით, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის შესაბამის კატეგორიას საცხოვრებელი (საარსებო) მინიმუმით უზრუნველყოფს. ამ საქმეში ამოსავალ დებულებად უნდა იქცეს „ევროპის სოციალური ქარტია“ (შესწორებული), სტრასბურგი, 3.V.1996 წ..

8. ადგილობრივი თვითმმართველობა: *თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?*

ჩვენი საპრეზიდენტო პროგრამა ითვალისწინებს სამხარეო პრინციპზე აგებული უნიტარული სახელმწიფოს არსებობას. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების მთავარი მიზანი, ქვეყნის მოსახლეობის იმ უმთავრესი უფლების განხორციელებაში მდგომარეობს, რასაც ქვეყნის მართვაში მათი სათანადო ჩართვა ჰქვია.

სამხარეო და რეგიონალურ პრინციპზე აგებული სახელისუფლო ვერტიკალი, უნდა ეფუძნებოდეს 1985 წელს მიღებულ დოკუმენტში – „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, სტრასბურგი, 15.X.1985 წ., გადმოცემულ მთავარ პრინციპს: „ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად“ (მუხლი 3.1).

ჩვენი ხედვის დეტალური ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ შემდეგ კრებულში: მ. სალუაშვილი, „საქართველოში სამხარეო დაყოფასთან დაკავშირებული საქარ-თველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები“, თბ. 2012 წ.;

9. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: *რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგავთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?*

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ერთა შორისი მეგობრობის აღდგენა-განმტკიცებისათვის, ჩვენი საპრეზიდენტო პროგრამა რამდენიმე უმთავრესი ნაბიჯის გადადგმას ითვალისწინებს, კერძოდ:

- საჭიროა მოხდეს 1991-1992 წლების გასაყარზე მომხდარი სამხედრო გადატრიალებისა და ამ დროიდან დამყარებული დანაშაულებრივი რეჟიმის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება;

- მართლმადიდებლობა გამოცხადდეს საქართველოს სახელმწიფო რელიგიად;
- საქართველომ გამოაცხადოს მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტი;
- საქართველოს ინიციატივით შეიქმნას კავკასიის რეგიონში შემავალი სახელმწიფოებისაგან შემდგარი რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაიჭრას.

10. უმცირესობათა უფლებები: *რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?*

საქართველოს ყოველი მოქალაქე, მიუხედავად მისი აფიშირებული თუ დაფარული სექსუალური ორიენტაციისა, თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს. ქრისტიანული ზნეობრივ-მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროა ვებრძოლოთ ნებისმიერი ფორმით გამოხატულ ცოდვას, და არა ამ ცოდვის ჩამდენ პირს.

11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: *გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.*

ღმერთის მიერ ადამიანისათვის მინიჭებული თავისუფალი ნებიდან გამომდინარე, საქართველოს ყოველი მოქალაქე, მიუხედავად სქესისა, მისთვის სასურველი საქმიანობის სფეროს არჩევაში თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს.

ყოველგვარი რეგლამენტაცია (უპირატესობის მინიჭება, შეზღუდვა, წახალისება, დაუმსახურებელი პირობების შექმნა და სხვა), გარკვეული კუთხით დისკრიმინაციის ელემენტის მატარებელია და აქედან გამომდინარე - მიუღებელი.

ყველას უნდა ჰქონდეს თავისი ნიჭისა და ინტერესების გამოვლენის მიხედვით საქმიანობის თანაბარი უფლება და შესაძლებლობა.

12. უმცირესობათა უფლებები: *რა პოლიტიკას გაატარებდით ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციისათვის?*

საქართველოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად მისი რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა, თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე, მისი იდენტობის შენარჩუნების პარალელურად, შესაბამისად ფლობდეს სახელმწიფო ენას, რაც თავის მხრივ იქნება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლების ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სათანადოდ ჩართვის მთავარი წინაპირობა.

13. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: *გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.*

ქვეყნის ნორმალური განვითარება წარმოუდგენელია ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს არსებობის გარეშე.

ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გვესახება მცირე ჰესების განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. რეგიონული მასშტაბით ხელმისაწვდომი ენერჯის დამოუკიდებელი წყაროების დამკვიდრება, ეკოლოგიური საკითხების მოგვარების პარალელურად, თავის დადებით როლს ითამაშებს ტყის მასივების დაცვა-განვითარებასა და ჯანსაღი/უსაფრთხო გარემოს შექმნაში.

14. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: *რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/ გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?*

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველომ:

- უნდა გაითვალისწინოს კავკასიის რეგიონში ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესი;
- ცალსახად უნდა თქვას უარი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე ძალთა დაპირისპირების სავარაუდო პოლიგონად ქვეყნის ალბათობაზე;
- საქართველოს სახელმწიფომ პირველმა უნდა დააფიქსიროს ნეიტრალიტეტისაკენ მტკიცე ნაბიჯის გადადგმის სურვილი, რომელიც უდავოდ შეიტანს წვლილს გეოპოლიტიკური დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში;

საქართველო: აქტიური სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფო უნდა გახდეს!

ვიხელმძღვანელებთ რა მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყნის სტატუსის მოპოვების სურვილით:

- წინადადებით მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რათა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ (და არამუდმივ) წევრთა წინაშე დაისვას საკითხი მათი მხრიდან, საქართველოს მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის გარანტირებად დადგომის თაობაზე;
- წინადადებით მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ (და არაწევრ) ყველა სახელმწიფოს, რათა ორმხრივი ხელშეკრულების დადებით, მოხდეს

საქართველოს მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე სახელმწიფოს სტატუსის ცნობა და მხარდაჭერა.

მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე საქართველოს, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებით მიღებული გარანტიის საფუძველზე, არასოდეს დასჭირდება საერთაშორისო სამართლის მიხედვით მისთვის მინიჭებული უფლების - შეიარაღებული ძალების მეშვეობით მოიგერიოს თავდასხმები მის ნეიტრალიტეტზე - გამოყენება.

მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის მქონე საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა თავადვე გახდეს მსოფლიოში მშვიდობის დამყარების აქტიური ხელშემწყობი და სხვათათვის მაგალითის მიმცემი ქვეყანა. აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები ჩვენს მიერ დეტალურადაა გაშუქებული ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ შემდეგ კრებულში: მ. სალუაშვილი, „საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტის საკითხისათვის“, თბ. 2012 წ.

15. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ჩემი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ვისახავ, რომ საქართველო გამოვიდეს საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია: „კავკასია - მშვიდობის სახლის“ შექმნის ინიციატორი. ის დაეფუძნება საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტების - სუვერენული სახელმწიფოების მიერ გამოხატულ კეთილ ნებას, რათა თავისი წვლილი შეიტანონ მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში მშვიდობისა და საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში.

აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები ჩვენს მიერ დეტალურადაა გაშუქებული ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ შემდეგ კრებულში: მ. სალუაშვილი, „საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია: „კავკასია მშვიდობის სახლი („კავმშვისა“)“, თბ. 2012 წ.

16. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?

ჩვენი ქვეყნის მიერ აღიარებული მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკონტრაქტო და სარეზერვო სისტემაზე აგებული სამხედრო სამსახური.

17. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

ქვეყნის ეროვნული, კულტურული და პოლიტიკური უსაფრთხოება (სასიცოცხლო პირობათა ერთობა), ზოგადად, მრავალ კომპონენტს მოიცავს. კერძოდ, ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, შინაგანი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა.

აღნიშნული საკითხების მთლიანობაში გააზრება და მათი უზრუნველყოფა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მთავარი საფუძველია.

18. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა: *თქვენი აზრით, უნდა აიკრძალოს თუ არა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა - აბორტი? რატომ?*

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა გარდა დედისათვის სასიცოცხლო რისკის არსებობის შემთხვევებისა, ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე აკრძალული უნდა იყოს.

19. გადასახადები და კრედიტი: *უნდა ჰქონდეთ თუ არა კრედიტორებს კრედიტის/გასესხებული თანხის იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი ფართის ხარჯზე ამოღების უფლება? რატომ?*

ორმხრივად აღებული საანგარიშსწორებო ვალდებულებიდან გამომდინარე, კრედიტორს აქვს უფლება მოითხოვოს მოვალისაგან, გარკვეული ქმედების შესრულება. აქედან გამომდინარე, საანგარიშსწორებო ვალდებულების ერთ მხარეს (კრედიტორს) უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს (დებიტორს), მოახდინოს ორმხრივად აღებული ვალდებულების შესასრულებლად, კანონმდებლობით განსაზღვრული მოქმედება.

20. მიწის საკუთრება: *როგორ ფიქრობთ, უნდა შეეძლოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო მიწა საქართველოში?*

მაცხოვრის კვართის ადგილი და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს მიწა-წყალი ეკუთვნის უპირველეს ყოვლისა ღმერთს და შემდგომ, საქართველოს მოქალაქეებს.